ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №442

<u>სახელმწიფო შესყიდვის შესახებ</u>

ქ. თბილისი **07 ნოემბერი, 2019 წ.**

ერთის მხრივ, -სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი სპექტრი- (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის როინ ტაკიძის სახით და მეორეს მხრივ, ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მინდობილი პირის ტატიანა სიხარულიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია შეკუმშული ბუნებრივი აირის (გაზის) შესყიდვა სპეც. სახსრებით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, (გამარტივებული შესყიდვით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის **მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს"[1] ქვეპუნქტი**.

1.2 შესყიდვის ობიექტია 500 კუბ.მ. ბუნებრივი აირი (გაზი) (შემდგომში – საქონელი).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში. ერთი კუბ.მ. ბუნებრივი აირის ფასი შეადგენს 1.46 ლარს.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 730 (შვიდასოცდაათი) ლარს, რაც შეიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა თანმდევ ხარჯს, მათ შორის, დ.ღ.გ.-ს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.2 ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს.

4. შესყიდვის ობიექტი მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს პლასტიკური ბარათებით ან/და ტალონური სისტემით, მიმწოდებლის გაზგასამართ სადგურებზე.

4.2 საქონლის შემსყიდველისათვის გაცემა (ტალონების გადაცემა ან/და შემსყიდველის სპეციალურ ანგარიშზე საქონლის ჩატვირთვა) განხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე, ერთიანად ან ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4.3 მიმწოდებლის სარეალიზაციო ქსელში შემავალი გაზგასამართი სადგურების მისამართები გამოქვეყნებულია მიმწოდებლის ვებ-გვერდზე www.wissol.ge და ცნობილია შემსყიდველისათვის.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 პლასტიკური ბარათების სისტემით საქონლის მიწოდება განხორციელდება შემდეგი წესით: შემსყიდველის მოთხოვნიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, მიმწოდებელი გაუხსნის შემსყიდველს თავის ვებ-გვერდზე სპეციალურ ანგარიშს და უზრუნველყოფს შემსყიდველს მიერ მოთხოვნილი რაოდენობის საქონლის (გაზის) ჩარიცხვას აღნიშნულ ანგარიშზე, პლასტიკურ ბარათებზე საქონლის შემდგომი განაწილების მიზნით. სპეციალურ ანგარიშზე საქონლის ჩარიცხვის შემდეგ შემსყიდველს ეძლევა საშუალება არსებული ნაშთის ფარგლებში შეუზღუდავად, თავის შეხედულებისამებრ, მოახდინოს აღნიშნული საქონლის გადანაწილება მის კუთვნილ ერთ ან რამოდენიმე პლასტიკურ ბარათზე ინტერნეტით, მიმწოდებლის ვებ-გვერდის საშუალებით, მომხმარებლის საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის გამოყენებით. შემსყიდველის სპეციალურ ანგარიშზე შეკვეთილი საქონლის ჩარიცხვისას შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილ წარმომადგენელს შორის ფორმდება სათანადო მიღება-ჩაბარების აქტი, რომელშიც ფიქსირდება ანგარიშზე ჩარიცხული საქონლის სახეობა, რაოდენობა, ღირებულება და სხვა აუცილებელი ინფორმაცია. სპეციალურ ანგარიშზე საქონლის ჩარიცხვისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ საქონელი არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საქონელზე გადაცვლას. პლასტიკურ ბარათზე საქონლის ჩატვირთვის შემდეგ, ბარათის დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე.

5.1.2. შემსყიდველის პირველად საიდენტიფიკაციო სახელსა და პაროლს მიმწოდებელი ასევე მიღება-ჩაბარების აქტით დალუქული კონვერტით გადასცემს შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს და ასევე უტარებს შესაბამის ინსტრუქტაჟს საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის შეცვლისა და გამოყენების წესების შესახებ. შემსყიდველი ვალდებულია ანგარიშის პირველ გამოყენებამდე და პლასტიკურ ბარათებზე საქონლის გადატანამდე შეცვალოს მიმწოდებლის მიერ გადაცემული პაროლი და შემდგომში გამოიყენოს მხოლოდ მის მიერ შექმნილი ახალი პაროლი.

საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის შემსყიდველის წარმომადგენლისათვის გადაცემისთანავე ყოველგვარი პასუხისმგებლობა და რისკი საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის არასანქციონირებულ გამოყენებაზე,

ელექტრონული ანგარიშიდან პლასტიკურ ბარათებზე საქონლის უნებართვო გადატვირთვაზე და სხვა მსგავს შემთხვევებზე, აგრეთვე ამით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებზე, გადადის შემსყიდველზე.

5.1.3. მიმწოდებელი ვალდებულია შესაბამისი ინფორმაციის მქონე პლასტიკური ბარათის გაზგასამართ სადგურზე წარმოდგენისთანავე გამართოს ავტომანქანა პლასტიკურ ბარათზე ჩატვირთული საქონლის სახეობითა და რაოდენობით. საქონლის გაცემა ხდება პლასტიკური ბარათის წარმომდგენ ნებისმიერ პირზე. შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია პლასტიკურ ბარათზე კონკრეტული ავტომანქანის სახელმწიფო ნომრის და სერიის გამოსახვა. ასეთი ბარათის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენისას, საქონლით გამართვა მოხდება მხოლოდ ბარათზე აღნიშნული სახელმწიფო ნომრის და სერიის მქონე ავტომანქანის, ხოლო სხვა ავტომანქანის გამართვა ასეთი ბარათის მეშვეობით არ განხორციელდება.

5.1.4. პლასტიკური ბარათის დაკარგვის ან/და დაზიანების შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მიმწოდებელს, რათა მოხდეს ამ ბარათის ბლოკირება. ამასთანავე, ბლოკირებამდე ბარათების გამოყენებით გამოწვეულ შედეგებზე ყველანაირი პასუხისმგებლობა და რისკები ეკისრება მხოლოდ შემსყიდველს.

5.1.5. შემსყიდველი ვალდებულია პლასტიკური ბარათი შეინახოს მზისგან, ელექტრული და მაგნიტური ველებისაგან (მობილური ტელეფონი, ტრანსფორმატორი, ტელევიზორი და სხვ.) დაცულ ადგილას, ასევე არ მოახდინოს პლასტიკური ბარათის გაღუნვა. მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ბარათის დაზიანებაზე.

პლასტიკური ბარათის ფიზიკური დაზიანების ან/და დაკარგვის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს შეიძინოს ახალი ბარათი და ითხოვოს მასზე ბლოკირების შემდეგ არსებული ნაშთების გადატანა. პლასტიკური ბარათის პროგრამულად დაზიანების შემთხვევაში, მიმწოდებელი უსასყიდლოდ დაუმზადებს შემსყიდველს ახალ პლასტიკურ ბარათს.

5.1.6. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით შემსყიდველი ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია პლასტიკური ბარათების მოხმარების წესები.

5.2 სატალონო სისტემით საქონლის გაცემა იწარმოებს შემდეგი წესით:

შემსყიდველის შეკვეთიდან არაუმეტეს ორი სამუშაო დღის ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია დაამზადოს და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს შემსყიდველს (მის მიერ უფლებამოსილ პირს) მოთხოვნილი რაოდენობის გაზის ტალონები (5მ^3 და 10მ^3 გაზის ტალონის ნომინალებით). ტალონების შემსყიდველისათვის გადაცემის შემდეგ, მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე, ამასთან უკვე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საქონლის ტალონებზე გადაცვლას. ტალონზე აღნიშნული უნდა იყოს:

- მიმწოდებლის ლოგო წარწერით „ვისოლი“;
- ტალონის ნომერი;
- საქონლის სახეობა;
- საქონლის რაოდენობა.

5.2.1 შემსყიდველისათვის გადაცემული ტალონები გააქტიურდება და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება მხარეთა შორის ტალონების გადაცემის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) საათის გასვლის შემდეგ. ტალონების დაკარგვის შემთხვევაში, თუკი შემსყიდველი გონივრულ ვადაში სამუშაო საათებში აცნობებს მიმწოდებელს დაკარგვის შესახებ წერილობით და მიუთითებს დაკარგული ტალონების ნომრებს, მიმწოდებელი უზრუნველყოფს აღნიშნული ტალონების დაბლოკვას, მათი შემდგომი გამოყენების თავიდან აცილების მიზნით. ამასთან, შემსყიდველს არ აქვს უფლება მოითხოვოს დაკარგული ტალონების სანაცვლოდ ახალი ტალონების ან/და ბუნებრივი აირის გაცემა. დაკარგული ტალონების პოვნის შემთხვევაში, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ტალონების აღდგენას (ბლოკირების მოხსნას). ამასთანავე, ბლოკირებამდე ტალონების გამოყენებით გამოწვეულ შედეგებზე ყველანაირი პასუხისმგებლობა და რისკები ეკისრება მხოლოდ შემსყიდველს.

5.2.2 საქონლის გაცემა ხდება ტალონის წარმომდგენ ნებისმიერ პირზე.

5.2.3 ტალონებზე საქონლის გაცემისას ტალონის ნაწილობრივი განაღდება ან/და ხურდის დაბრუნება არ დაიშვება.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია, ყოველი საანგარიშო თვის განმავლობაში გაზგასამართი სადგურებიდან შემსყიდველზე გაცემული რაოდენობის საქონელზე გამოუწეროს შემსყიდველს შესაბამისი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (შემდგომში – „ესაფ“), რომელიც ექვემდებარება ელექტრონულად დადასტურებას შემსყიდველის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. შემსყიდველს არც ერთი საფუძვლით არ შეუძლია სადავო გახადოს მისი მხრიდან შესაბამისი „ესაფ“-ის ელექტრონულად დადასტურების ფაქტი, ასევე „ესაფ“-ში მითითებული საქონლის რაოდენობა და ღირებულება, ვინაიდან შესაბამის ელექტრონულ საშუალებებთან წვდომა გააჩნია მხოლოდ შემსყიდველს, „ესაფ“-ის ელექტრონულად დადასტურების პროცესი არ კონტროლდება მიმწოდებლის მიერ და შემსყიდველი თავად განსაზღვრავს იმ პირის ვინაობას, რომელიც უშუალოდ მოახდენს შემსყიდველის მხრიდან „ესაფ“-ის ელექტრონულად დადასტურებას.

5.4 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ამავე ხელშეკრულების 5.1 და 5.2 პუნქტებით გათვალისწინებული ტალონების მიღება-ჩაბარების ან/და მყიდველის სპეციალურ ანგარიშზე საქონლის ჩარიცხვის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი შემსყიდველის მხრიდან არის გურამ შარმიაშვილი პ/ნ 01025021074 (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) და ეს უფლებამოსილება არ შეიძლება გახდეს

სადავო შემსყიდველის მხრიდან. შემდგომში ამ პირის უფლებამოსილების გაუქმება ან შეზღუდვა იურუდიულ ძალას შეიძენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს წერილობით ეცნობება ამის თაობაზე ან თუ მხარეთა შეთანხმებით შესაბამისი ცვლილება შევა წინამდებარე პუნქტში. სხვა პირისათვის ამ უფლებამოსილების მისანიჭებლად ასევე საჭიროა შესაბამისი წერილობითი მინდობილობა ან მხარეთა შეთანხმება.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაზის საფასური შემდეგ ვადებში: გაზის ტალონების გადაცემაზე (პ. 5.2) ან/და გაზის შემსყიდველის სპეციალურ ანგარიშზე ჩარიცხვაზე (პ. 5.1) შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში, ამავე აქტში მითითებული შეძენილი გაზის საერთო რაოდენობის შესაბამისად.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
- უარი თქვას უხარისხო საქონლის მიღებაზე.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- წერილობით აცნობოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- გააფრთხილოს შემსყიდველი საქონლის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.

8.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხდელი თანხის 0.1 პროცენტის ოდენობით. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

8.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.(2019 წლის 31 დეკემბრამდე)

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას, მიმწოდებელი უფლებამოსილია შეცვალოს (გაზარდოს) საქონლის ღირებულება, რის შესახებ ის 10 დღით ადრე წერილობით აცნობებს შემსყიდველს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობის დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა

სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასარულების შემდეგ.

11.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება დამატებითი კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი, ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, ეკისრება შემსყიდველის მიერ შექმნილ ინსპექტირების ჯგუფს. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი საქონლის ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი სპექტრი

მის: თბილისი, ბ. ჭიჭინაძის ქ. #10

ს/კ: 208183605

ელ.ფოსტა: davladzee@yahoo.com

დირექტორი

როინ ტაკიძე

მიმწოდებელი:

ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“
მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74ბ

ს/ს „თიბისი ბანკის“
მარჯანიშვილის ფილიალი
ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა № GE48TB1100000018467453
ს/კოდი: 202161098

ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“
გენერალური დირექტორის მინდობილი პირი

ტ. სიხარულიძე

Tatiana Sikharulidze

Digitally signed by Tatiana Sikharulidze
Date: 2019.11.07 14:06:58 +04'00'